


ବୀରବିଜୁଳ





కుటుంబం

సా. 1444 డిసెంబరు 60 ఫిబ్రవరి 60 ఇ.
సా. కాంగ్రసమాన పాఠాలు 60 శువులు.

03 ఫిబ్రవరి 1938 ర. No 7

ప్రాచీన కుటుంబం „కృష్ణార్జును“ నుండి ప్రముఖులు మిస్టర్ మిస్టర్: అంగులింగం, కుంఠాశ్వామి జీ. నె. 34, బ్రాహ్మణ, 3-02-61

ప్రాచీన కుటుంబం

83-

| | |
|---|------------------------|
| 1. 5.—ఎం, — బ్రాహ్మణిస పిరాస (బాహ్యాయి) | 1 |
| 2. బాంగార శాంతి, — క్రీమి దాన్యాశి (ల్యూసి) | 4 |
| 3. గొండ తపాకాశి, — గొగలాస ఉథ్యద్యర్జుం (మింట్రోంబా) | 5 |
| 4. లంగిలి పాఠాలులు, — లంగిలి పించెర్చాంయాశి (ల్యూసి) | 8 |
| 5. గార్యులి క్రాసిస దాసి లుమింటాన (మింట్రోంబా, టార్జమాని 6, లుంగింట్యా- ఫానిసిసా) | 9 |
| 6. అంపించాల ప్రశ్నలు, — రుమానిసి (ల్యూసి, టార్జమాని అంప్రై- చెన్చార్లోసిసా) | 11 |
| 7. కుశల కుపిష, — పార్కార్ ల్యూసి (మింట్రోంబా, టార్జమాని పిరాండ్రా గామిసాశ్వర్లోసిసా) | 13 |
| 8. అంపించాల ప్రశ్నలు, — పించెర్చాంయి పించెర్చాం (ల్యూసి) | 14 |
| 9. గొండ క్రాసిసి, — ప్రార్మ్య డాట్రాని (మింట్రోంబా) | 15 |
| 10. గాంధి గింగెల్లామ, — ర్యాంప్లాంగ్ (ప్రెరింగ్) | 16 |
| 11. గాంధింటం | గార్యులానిస మ్యా-4 33- |

ప్రాచీన కుటుంబం ప్రముఖులు పించెర్చాం: క్రాసిసి, అ. క్రీమి అంగులింగిస ప్రముఖులు.

ప్రముఖులు పించెర్చాం ప్రముఖులు పించెర్చాం క. కుంఠాశ్వామి.



მე პატარა ვარ, თერთმეტი წლის..
ჯერ არასოდეს არ კოფილვარ
ბანაკში. შარშან მთელი ზაფხული
სოფლად გავატარე. ჩემი საყვარე-
ლი დაიკა კი კოჯორში იყო. ფრია-
დოსნობის მოწმობის აღებისთანავე
გაგზავნეს იქ.

მეც ბევრი ვეხვეწე მშობლებს:
მეც ლამარასთან ერთად უნდა წა-
ვიდე - თქმ. მაგრამ არ გამიშვეს,
მითხრეს: ჯერ პატარა ხარ, ოქ-
ტობრელიო. არ მიშვევლა არა მუ-
დარამ, არც ცრემლებმა. დავრჩი
სოფელში. მაგრამ იქაც კარგად
ვიმზიარულე.

აა, ამ წელს კი პიონერად მი-
მიღეს. მაშასადამე, შეიძლებოდა
ბანაკში მოვახდოლიყავ ზაფხულ-
ზე. მე ამის იმდინ მქონდა. წარმა-
ტებით ვსწავლობდი, გამოცდებზე
იშვიათი მამაცობა გამოვიჩინე: ყვე-
ლაფერში ფრიადი მივიღე.

გუშინ კიდეც მომცეს საგზური,
მაგრამ წამოსვლა ვერ მოვახორცე-
დოდეს ნაშუადღევს, ოთხ საათსა
და ოც წუთზე გამოვყენ ბორჯო-
მისაკენ მიმავალ მატარებელს. ვა-
გონში ფანჯარასთან ვაჯექი და
გადავცემროდი ნაირნაირ სანახ-
ობას.

შებინდებისას ჩემი ყურიდლება
ტყით შემოსილმა გორაკებმა მიიპ-
ყრო, რომელთაც აგერ ვაჟასლოვდე-
ბოდით. ეს ქვიშეთია, თევეს მეზავ-
რებმა, მას მალე ვნახავთო.

მართლაც, ხუთითოდე წუთის შემ-
დეგ მატარებელი ერთ პატარა ბა-
ქანზე შეჩერდა. გამოვედით. მარ-
ჯვნით, პირდაბირ ბანაკისაკენ წა-
ვედით, რომლის არკა კარგად მო-
ჩანდა ბინდუნდში.


მორიგე პიონერებმა ეზოში არ
შეგვაშვეს. ჯერ უფროსს უნდა
მოვახსნოთ, ასეა წესიო.

6. - १०

ერთი ბავშვი გაიქცა უფროსი-
საკენ.

— გამოატარეთ, გამოატარეთ,
მოვევემა მხიარული ხმა.

მორცხვად შევედით გაღებულ
კიშეარში.



გაგონში ფანჯარასთან ვაჯექი და
წაღალა ნაირნაირ სანახაობას

პატარა ბიჭები და გოგონები
ხელვირს იბანდნენ, ძილისათვის ემ-
ზადებოდნენ.

ჩვენ ვაგახაშმეს, უკვე ლოგინე-
ბიც ვაგვიშალეს.

ოჲ, რა გრილი, გამაცოცხლებე-
ლი პატარია, ნელი სიოთ.

მაგრამ გვიანაა. დალლილი ვარ.
თვალები მეხუჭება.
მეძინება.

გვორე დღეს

რიურაჟისას ჩიტების საამური
გალობა მომესმა ძილში. გამომელ-
ვიძა. მომხიბლველად სტვენდნენ
ჩიტები, ფანჯრიდან ვხედავდი მათ.
მწვანე ტოტებზე ისხდნენ და ჭიკ-
ჭიკიმზდნენ.

მალე ისევ ჩამთვლიმა.

შვიდ საათზე საყვირის ხმამ გა-
მომაღვიძა. ეს ადგომის ნიშანი იყო.
წამოვხტი. ტანთ ჩავიცვი და ხელ-
პირის დასაბანად გავეშურე. ონჯა-
ნებთან უკვე შეგროვილან პიონე-
რები, ძველი ნაცნობებივით მას-
ხრობენ, იცინიან.

ჩემთან ერთი გოგონა მოვიდა.

— რა გქვია? — მეითხა.

— ლილი. შენ?

— ელენე.

— საიღან მოხვედი?

და ერთმანეთს ვუამბეთ ჩენი ვინა-
ობა. დავმეგობრდით.

— გვამის საყვირის ხმა? — მით-
ხრა საუბრისას ელენემ, — სავარ-
ჯიშოდ გვიხმობენ.

ორივენი ვაგიძეცით, ჩავტა-
ქით წყობილებაში. ხელმძღვანელმა
დღის რეეიმი გამოგვიცხადა. ძა-
ლიან კარგია: გართობა, თამაშობა,
თავისუფალი საათი, ოთხჯერ ევე-
ბა... ვატყობ, სხვებიც გახარებულ-
ნი არიან. ვარსკვლავებივით უციმ-
ციშებთ თვალები.

ვარჯიშობას მოვრჩით.

საუზმეზე დაგვიძახეს. წავედით
სასალილოში. აქ სისუფთავეა. მა-
გიდებზე ქათქათა სუფრებია გადა-

ფარგლებული. მოგვიტანეს ჩაი, კარაქი, პური... მადიანად ვჭამთ.

დარბაზი საცხეა ბავშვებით. ვინ არ არის აქ: ქართველები, რუსები, სომხები, თურქები, ებრაელები, გერმანელები... ჩვენ ერთმანეთს ვეცნობით, ვსაუბრობთ, ვლაპარაკობთ.

თურქმა ალიამ მხოლოდ თავისი ენა იცის. მაგრამ მაინც მხიარულადაა. ლაზენანდარობს, მასხრობს, აცინებს ბავშვებს, ორიოდე სიტყვა უსწავლია ქართულად: „ამხანაგო, როგორა ხარ!“ და წამდაუწუმ იმეორებს. ეს წინადადება მეც ვიცი თურქულად, ამიტომ ალიას ვკითხე:

— ქეითინის ნეჯადირ, იოლდაშ!

— სალოლ, იახშიამ, იოლდაშ!*)
ბავშვები იცინიან, თამაშობენ, მხიარულობენ. ელენეც იცინის, ალიაც, ჰატარა გიზიც, მარგოც, ანიკოც...

აი, ოცდაათი პიონერი შევიკრიბეთ ერთად. რაზმი უნდა შევქმნათ, აქტივი უნდა ავირჩიოთ, წრეები უნდა მოვაწყოთ.

ყველაფერს ვაკეთებთ. რაზმის საბჭოს თავჯმდომარე მარგოა. ანიკომ წინადადება შემოიტანა: ჩამოვაყალიბოთ ნორჩ მეთევზეთ აწრეო. ჩვენ სიხარულით დავეთანხმეთ მას. აქ, ბანაკის ახლოს, მტკვარი მიმდინარეობს. ბევრ თევზს დავიჭიროთ მტკვარში...

ელენემ კიდევ ასე თქვა: ნორჩ ნატურალისტთა წრე მოვაწყოთო. ეს წინადადებაც მოგვეწონა.

მესამე დღეს.

დილით, საუზმის შემდეგ, საეჭვერსიოდ წვევედით ტყით დაფარულ მთაზე. სიხარულით დავტოვეთ ბავშვებმა ბანაკის ეზო და შეღმართს შევუდექით. ნელნელა მივყვებოდით დაკლაკილ ბილიკებს, ირგვლივ წიწვოვანი და ფოთლოვანი ხეები გვერტყა. ფოთლებში ფრინველები ფრთქიალებდნენ. აქაი შავები ჭახჭახობდნენ...


ჩვენს წინ, გზადგზა, ყვავილები ჰეპლები დატრინავდნენ. აი,



უზარმაზარმა თეთრმა პეპელამ ნელი ფარფატით ჩაგვიარა წინ. გიზი დაედევნა მას. გიზიმ პეპელა დაიჭირა.



— ნორჩი ნატურალისტი, ნორჩი ნატურალისტი! — მიაძახეს ბიჭებმა.



ჩვენც დავიჭირეთ ჰეპელები, შევაგროვეთ ნაირნაირი ყვავილები.

თაიგულებით ავედით მთაზე. ჩედან ჩვენს ბანაკს გადმოვედეთ, ბანაკი უფრო ლამაზანია შემნიშვნელი მაღლიოდან.

ცოტახანს დავრჩით მთაზე, ვისაუბრეთ და მერე უკან დაგბრუნდით.

ეზოში საინტერესო გართობა მოვწყეთ, რაც მე აქამდის არ მცნახა: ერთად შევგროვდით პიონერები, მერე იქვე ორ ჯგუფად და ვიყავით, ავილებდით ერთ სიტყვას ვთქვათ, ქორი. ერთი ჯგუფი დაიძახებდა „ქო“, მეორე — „რი“. ეს ხდებოდა ერთსადამიავე დროს. შორიახლოს, ათ ნაბიჯზე მდგომ ბავშვს უნდა გაევო, თუ რა ვთქვით ჩვენ.

— ქოხი!

— გორი! — იძახდა ის. ვერას გზით ვერ მოგვცა სწორი ბასუხი.

დილით, ვითამაშეთ და კარგად ვიმხიარულეთ.

მეოთხე დღეს.

თავისუფალი გართობის საათზე უნიამ ყვირილი მორთო:

— ბავშვებო, გველი, გველი!

გავიძეცით. გოგიამ გაგვისწორო. მანაც, ადგილზე მისვლისას, შემკრთალი ხმით დაიწყო ყვირილი:

— გველი, გველი!

ჩვენ მართლაც გველი გვეგონა. ცოტა არ იყოს, შეშინებულები დავდექით მოშორებით. მაგრამ პიონერ რეზოს არ შეეშინდა. იგი გაიქცა და ხელში იყენა ქვეწარმავალი. ზოგიერთები გაფიორდნენ.

— ნუ გეშინიათ, არ იქმინება. ეს ანკარა! — გვითხრა რეზომ.

ჩვენ შევეტვით ანკარას. ხელსაც ვკიდებდით, ვეფერებოდით. მერე იგი ფრთხილად შევინახეთ ყუთში.

ამ დღეს ჩვენმა ნატურალისტებმა ბევრი რამ გააქოთეს. პეტრიამ თხუნელა დაიჭირა, გიგლამ კი ცხრაფეხა.

მეშვიდე დღეს

ას ცელქიშვილია პატარა ვიტი! სადილზე ჩხუბი აუტეხა ვანიას: შენ ბევრ ბურს სჭამო. ვანია გაწითლდა. საწყალმა ბიჭმა ჯერ არაფერი თქვა.

ვიტია მაინც არ მოეშვა, თავი მოსჭრა ამხანაგს ბავშვების წინაშე. გაბრაზდა ვანია. გავიდეთ ეზოში, შენ გიჩვენებ სეირსო, — დაემუქრა ვიტიას. ეზოში მართლაც წაიჩუბენ. მუშტებით სცემეს ერთმანეთს ჩვენ ხელმძღვანელობან გავიქეცით და მოვახსენეთ ეს ამბავი.

ხელმძღვანელმა პირისპირ და- აყენა მოჩხუბრები, დაარიგა ისინი, მერე ბოდიში მოახდევინა. ორი- ვეს. ვიტია და ვანია შერიგ- დნენ. თოქეს არაფერი მომხდა- რიყოს: მეგობრულად დაიწყეს თა- მაში.

ალიამ ბევრი ამხანაგი გაიჩინა. ზის ბავშვებში, ოხუნჯობს და აცი- ნებს მათ.

დღე მხიარულად მიღის ბანაკ- ში. კვითხულობა წიგნებს, გაზე- თებს, უურნალებს, ვცეკვავთ...

მერვე დღეს

დღეს ჩვენს ბანაკში შესანიშ- ნავი ამბავი მოხდა, ჩევნთვის მა- რად დაუვიწყარი ამბავი: უცხო- ელი ბავშვები გვესტუმრნენ.

დიდი სიხარულით შევხდით მათ. ბაქნიდან ბანაკის კიშკრამდის ორ რიგად ჩაემწერივდით პიო- ნერები. შუაში სტუმრები გავატა- რეთ მუსიკით, მისალმებისა და ლოზუნგების შეძახილებით.

ოთხი უცხოელი ბავშვია. მიმ- ზიდველი თვალები აქვთ. ჩვენ პირველი შეხვედრისთანავე დაუუ- მეგობრდით ძეირფას სტუმრებს. გულმა გული იცნო.

მეცხრე დღეს

— მოდით, ბავშვებო, წავიდეთ მტკვარზე, ანკესები ჩავუშვათ წყა- ლში, ორაგულები დავიჭიროთ! — გვითხრა მეთევზეთა წრის ხელმდ- ვანელმა გიგლაძ.

წავედით მტკვარზე, წავილეთ ანკესები, ანკესებზე ხორცის ნაჭ- რები წამოვაგეთ და წყალში გა- დავისროლეთ.

ვუცდით, ვუცდით. ჯერ არა- ფერია, უნია კი წამდაუწუმ იღებს ზევით და ყვირის.

— უი, უი, ლოქო დავიჭირე, ლოქო!



მაგრამ არც ლოქოა და არც ლორჯო. მაინც რა მეტიჩარაა შე- ნია, სულ ასე იცის, წინასწარ იტყვის რაიმეს, მაგრამ, საუბედუ-



როდ, რამდენსაც ქუხს, იმდენს არ წევის.

ვდგავართ მტკვრის პირას, ვდგა- ვართ. ვუცდით თევზებს. აი, ელ- ბათ, არასდროს არ უნახავთ იმო- დენა ფრთაფარფატა. რადა დავ- მალო, არც მე მინახავს! მეც გო- ცებული შევურებდი ჭრელ პეპე- ლას.



ნეს ანკესი შეირხა. ფრთხილად ამოსწია ელენემ და... ამას რას ვხედავთ: რამოდენა წვერაა!

მეთერთხვეტე დღეს

უჰ, როგორ შემეშიხუდერები უდიდესი! ხელში თოფი მოჭრილი მითხრეს: აი, იმ შავ წერტილს ეს- როლეო. მე გავფიორდი. სად დაი- კარგა ჩემი გამბედაობა? აკი ამ- დენხანს არ ვასვენებდი ხელმძღვა- ნებს — მე მასროლინეთ თოფი პირ- ველად-თქო. ახლა კი ლამის შიშმა გამათავის!

მაგრამ არაფერია! მე მამხნევე- ბენ:

— კოხტად დაიჭირე თოფი ხელში!

— ნუ შეგეშინდება, ნუ შექრ- თებიო! — მეუბნებიან.

მეც ვიკრებ ძალდონეს. თითს ვადებ ჩახმას და...

— ჭახ — ისმის.

მაგრამ ტყვია სად ჯანდაბას წა- სულა, წერტილს ასცდენია.

კიდევ ვისვრი, კიდევ... უკეთესი და უკეთესი ნიშნებია. ტყვია თან- დათან უახლოვდება მიზანს...

გიგლა, ელენე, თამარა, ალია და ვანია კარგ შედეგებს აღწევენ. ლომის ვორომილვისებური ნორ- ჩი მსროლელები განდნენ ეს კუდ- რაჭები! მე მიხარია, რომ ისინი ასე მარჯვე ბავშვები არიან!

დღეს ნორჩია ნატურალისტებმა კიდევ ვეება ჭრელი პეპელა დაი- ჭირეს. როგორ უცნაურად შეპეუ- რებდნენ ბავშვები პეპელას. ილ- ბათ, არასდროს არ უნახავთ იმო- დენა ფრთაფარფატა. რადა დავ- მალო, არც მე მინახავს! მეც გო- ცებული შევურებდი ჭრელ პეპე- ლას.


გამახსენდა დიდი მგოსნის ლექ- სის დიდებული სტრიქონები:

“ჭრელი პეპელა დაათრო და გააბრუა იამა, მას მიეპარა ყმაწვილი, დაიჭირა და იამა.”

ოჳ, რა კარგი ხარ, ჩვენო ბა- ნაკო, რა კარგი! რა ერთსულოვან სიხარულს, აღტაცებასა და აღმა- ფრენას გვაძლევ შენ!

ნეტავ, ნეტავ უფრო გრძელი იყოს ეს სანეტარო დღეები!

ლალად ვისვენებთ, ხარბად გსუნ- თქავთ წიწვიანი ტყის საამურ სურ- ნელებას...



ჩვენს მანაკრძე



I

თითქოს ღიმილით შეგვხვდა სიმწვანე
ხავერდოვანი და მოქარგული,
მოვედით ყველა, თან მოვიტანეთ
მღერა, სიცილი და სიხარული.

ახლა მდინარეც, მთებში ლრიალა,
ველზე მოგორავს ნელი ტბორებით,
ამ ყვავილებს და ბუჩქებს შრიალას
მკერდგალელილი ვეამბორებით.

მოვედით გულით, თან მოვიტანეთ
ჩვენი ბავშობის მზე-სიყვარული,
თითქოს ღიმილით შეგვხვდა სიმწვანე
ხავერდოვანი და მოქარგული.

II

მოვედით და სიხარულით
გავაჩალეთ ველზე ცეცხლი,
ცა ლაქვარდი ნათელია,
მოქენჭილი თითქოს ვერცხლით.

იწვის ფიჩი, ცეცხლის ალი,
ლაპლაპებს და წითლად ელაფს,
მიწის მეერდზე შუქის სირმა
მოჩანს, როგორც ცისარტყელა.

იწვის ფიჩი, ნაპერწელები
ტკიცინებს და მაღლა იწევს.
მოციმციმე ელვარება
და ჰუნია ირგვლივ სივრცეს.

ჩვენც, ბაშვებმა, აღტაცებით
შემოვავლეთ კოცონს რეალი,
სიხარულის დღეებს ვფურცლავთ,
სიხარულით ბრწყინავს ოვალი.

ვცეკვავთ, ვმღერით და ხალისით
ყოველ სიტყვას მოსდევს ტაში,
დაუბერავს მთიდან სიო
და ხეები-შრიალს გაშლის.

დღეს აქა ვართ და ხვალ კიდევ
გადავტყორცნით გოლში ბურთსა,
ვისვენებთ და მხრებგაშლილი,
სიხარულის დღეებს ვფურცლავთ.



ნიკლას უტერურება

გიგლამ მთელი დღე ბუხუტისა და ბოჩოლასთან თამაშში დააომაზა. დამნაშავესავით შინ არ შედიოდა. როცა ღმმურებმა დღისით დაკეცილი ფრთები აათამაშეს; გიგლა ქურდულად შეიბარა თახეში და მშიერი შეგორდა დაკონკილ ლოგინში. ჯერ სულ გაიტვრინა, ხოლო ყველამ რომ დაიძინა, თავი წამოსწია. დარწმუნდა თუ არა, რომ დღისით მოქანდული გაიანეს გალვიძება ასე ადვილი არ იქნებოდა, ლოგინიდან გადმოვიდა, ტან ჩაიცვა და ამ დღისთვის მოგროვილი ჩალის ნალერალები კერიასთან მოზიდა, ცეცხლი შეუნთო და ეს მიწური სახლი სულ გააღალაშა, მერე თვითონ მიუჯდა კერიას და ნაცარში რაღაცას უაზროდ ხაზეა დაუწყო.

დედის გული ხომ ბერის დამტევია და თვალი კი მუდამ ფხიზელი!

— უმე, შვილო! კიდევ არ გძინავს? დაეფსო დედაშენს თვალები, ნუ ჯავრობ, შვილო, ნუ ჯავრობ! ხვალ ყველაფერს გავიგებ! — ატირდა გაიანე, როცა თვალები გაახილა და ღრმად ჩაფიქრებულ შეილს შეხედა. გაიანე გვერდზე მოუჯდა გიგლას და მისი ფიქრების მონაწილე განდა.

გათენებას კარგი ხანი აკლდა.

გაიანემ გიგლა ლოგინში ჩააჭინა, საბანი დაახურა და თვითონ კი ღამისმოეველ ვარსკვლავივით დილის სინათლეს თვალგახელილი შეეგება.



3.

იგლამ ჭიდან ამოღებული წყალი ორივე პეშვით შეისხა სახეზე. უძილობით დაწითლებულ ოვალებს ციფი წყალი ძალიან ესიამოვნა. პირი ტილოთი შეიმშრალა, სწრაფად გადაშალა წიგნი და ლაფაროში¹ დაგდებულ ჯირკზე ჩამოჯდა. თვალები ისე აუჭრელდა, რომ ეს ოხერი ასოები ვენახში ჩასობილ ხარისხებად² მოეჩენა. რომ ვერაფერი ამოკითხა, გულწითელა ჩიტის ფერი წიგნი უგუნდოდ დახურა და ლილისფერ ზეცას მიაპყრო თვალები.

აგერ სულ ახლოს ეჩვენება მას ტაბაკულას და თველილი მთები. რატომლაც მის მწვერვალზე ყო-

¹ სამხადი სახლის გვერდზე.
² ჭიგლები.

ფნა ინატრა. ასეთი უცნაური ფიქრებით კავკასიის ყეველა მთა და ზღვები შემოიარა. ბოლოს კი ისევ ამ ციფ ჯირკზე დარჩა მარტოდმარტო საქუთარი ფიქრების მარა.

გაიანე ჭადს ზელდა, ისიც დაფიქრებულიყო. ფართე თვალებს ჭუჭრუტანებში შემოპარულ სხივებს ვერ აშორებდა.

— გაიანე! გაიანე! გამოიხედე, ქალო, გარეთ! — დაუძახა მეზობელმა.

გაიანემ კაბის კალთა წამოიკაპიშა და ლობეზე გადავიდა.

გიგლამ ღრო იხელთა, წიგნებით გაფსებული ჩანთა მხარზე გადაიკიდა, უკანა ეზოში გავიდა და იქიდან ტყეს მისცა თავი.

შეფოთლილ ტყეს ურიამული გაპქონდა. იოგვლივ საამურ სურნელებას ფენდა.

სხვა დროს გიგლა მშვიდად ვერ ჩაუვლიდა ამ ხავერდისფერ ყვავილებს, ნუშისფერ მცენარეებს და ხის ძირებში დათალხულ ბალახებს.

უველაფერს უქმაყოფილო თვალით შეხედა გიგლამ. თოთქ ეს ლამაზად მოკაზმული ტყე დამნაშავე იყო მის უბედურებაში. დანამული წიფლის რტოები საგანგებოდ უწვდიან სველ ფოთლებს, გულს უგრილებენ, მექრდში ჩასაკვრელად იწვევენ, მაგრამ გიგლა ისე გაშტერებულა, რომ არათერი ესმის ამ ჭვეყნის.

გიგლა ტყიდან გავიდა, ქალაქისაკენ მიმავალ გზას დააღდა და პირაპირ სკოლისაკენ გაექანა.

გზაზე ნიავივით მიქროდა. მძიმე ფიქრებით გულშეღონებული თვაისოვის ამბობდა:

— რატომ მითხრეს შინ წადიო? რატომ დამითხოვეს ორი დღით? არა, არა, ორ დღეს რა გამარტებს სკოლის გარეთ! მე სკოლა მინდა, სწავლა მინდა, დღესვე უნდა გავიგო ჩემი გამორიცხვის მიზეზი! — ვერაფერი გაიგო გიგლამ ამ მოულოდნელი უბედურების და სიჩბილს უფრო მოუმატა.

რამდენიმე ხნის შემდეგ შიგ ქალაქში გაჩნდა. ქალაქის შუაგულში სამასწავლებლო სემინარიის ორსართულიანი შენობაა ამართული. ვის არ ნახავთ ამ სასწავლებელში: ქართველი, რუსი, უკრაინელი, სომები, ებრაელი და ვინ გნებავთ აქ რომ არ იყოს! შეიძლება ეს სასწავლებელი ხდიდეს ამ პატარა ქალაქს ასეთ მიმზვიდველს! შეიძლება აქაური გაჭრების მარიფათი იტაცებდეს ხალხს გურიიდან, სამე-

გრელოდან, ლეჩეუმიდან და სვანეთიდან რომ მოდიან და მოდიან პარასკეობაზე ცხენებითა და ურმებით.

მუდამ დიდი ფუსტუსი და მოძრაობაა აქ. და, აი, როცა გიგლა შევიდა ქალაქში, დიდი წრიალი შეამჩნია, სასეირნო ბალიც ამ დილით უცნაურად ახმაურებულა. შიგ ბლომად მოუყრია თავი უსაქმურ ხალხს. ყველანი სემინარიის შენობისკენ იცქირებიან.

გიგლა ბალის ქვის კედელზე შეფოფხდა. ამდენი ხალხი ერთად არასოდეს უნახას: სკოლის წინა ეზოში სემინარიიელები თოხ-თოხად დაწყოთ. ყველის შავი დიაგონალის შარვალი ეცვა. ქუდებიც ერთნაირი ეხურათ, ხორცისფერი ქამრების აბზინ-დები მხეხე ლივლივებდნენ.

გიგლამ სემინარიიელების წინ თავისი სკოლის მოწაფეები დაინახა. მოწაფეები სუფთად და ლამაზად არიან ჩაუმულნი. მათ პირდაპირ შავს ფრაკებში გამოწყობილი მასწავლებლები დგანან. მასწავლებლებს გადმომოვნილ საყელოზე ლურჯი ხავერდი ჰქონდათ შემოკერებული. ხავერდზე ოქროსფერი სირმები და ვარსკვლავები უბრწყინავდათ.

გიგლა ძალიან გააკვირეა ამ სანახაობამ, ვერ მიხვდა, თუ რატომ მოურთავთ სკოლა გირლიანდებით, ან რატომ გამოსულან წინ საგანგებოდ ჩაუმული მასწავლებლები, სემინარიიელები და მათი სკოლის მოწაფეები. ათასნაირ ფიქრებში გახვეულმა გიგლა თავისთვის ჩაიღავარაკა:

— აღბათ, დიდ კაცს თუ მოელიან! შეიძლება ამიტომ არ უნდოდათ ლამაზად გამოწყობილ მოწაფეებში გავრეულიყავი ჩემი დახურული შარვლით? აბა რა უნდა იყოს?

კაპუუტი პავლოვსკი, რომლის დანახვა გიგლას ტანში ქრუნტელს ჰქვრიდა, ახლა ყველაზე წინ დგას, მაგრამ ერთ ადგილას ვერ ჩერდება, ეზოდან ქუჩაში გადის, ვიღაცას მოელის.

გიგლა შეიძრა. წყალში რომ არ ჩავარდნილიყო, წელში გასწორდა, მერე სულ გადაავიწყდა ყველაფერი და ქვის კედლიდან პირდაპირ ქუჩაში ისკუპა. მდინარეს ისე გადაახტა, რომ ვეხიც კი არ დასველებია. სულმოუთმელად მივარდა სკოლის კარებში.

— სად მოძრები, ბიჭო! — შემოანათა მას დარჯის ცივმა თვალებმა. შეიძლება გიგლას კიდევ გამოეჩინა თავისი პატარა ძალა, მაგრამ პავლოვსკიმ ამ დროს ისე დაბაკუნა ფეხები ჭიშკართან დაგდებულ ფიცარზე, რომ ამ მამ წაახდინა იგი.

დამარცხებული გიგლა ისევ ბალში შებრუნდა.

¹ მარუნველი.

² მეფის ნაცვალი.



მოულოდნელად ცხენების თქარათქური ჰოისა, ორიოდე წუთის შემდეგ სამი ეტლი შავი ბეღაურებით მიასკდა სემინარიის შენობის კარიბჭეს ლიდან პირველად პატარა ტანის მოხუცუ და დამატებული და. მას მოელი სახე და თავი თეთრად უქათქათებდა. ქვევით ჩამოფენილ ულვაშებს ისედაც პატარა ტუჩები სავსებით დაეჩრდილა. ჩალრმავებულ თვალებს შეზე აციმციმებული სათვალეები დაცფარებოდა. გულმექრდი ისე შეჯინჯილებული ჰქონდა მენდლებითა და ჯვრებით, რომ თითის დასაღებ აღვილაც ვერ იშვილით.

ამ პატარა, მაგრამ უხეში შეხედულების კაცს რაღაც უცნაური სიარული ჰქონდა. ტანს რეზინივით ახტუნებდა.

გადმოვიდა თუ არა იგი ეტლიდან, პავლოვსკი მუეგება მას და თავმდაბლად მიესალმა. რაღაც უნდოდა ეთქეა, მაგრამ ამ დროს სასულე ორკესტრმა ისე მძლავრად დააგრიალა შემხვედრი მარში, რომ პავლოვსკის ხას გაღებული დარჩა.

ეს ახლად მოსული კაცი კავკასიის სასწავლო ოლქის პოპეჩიტელი¹ იყო.

იგი ნამესტინიკე² გამოეგზავნა დასავლეთ საქართველოს სასწავლებლების გამოსარკვევად. მას თან ახლდნენ გუბერნატორი, მაზრის უფროსი, პირადი მდივანი და ოხამდე მაღალი ჩინის მოხელე.

პრისტავსა და ურიანიკე³ ადრევე სცოდნდათ მათი ჩამოსვლის ამბავი. სტრაუნიკები ყოველი ქუჩის მოსახვევში დაეყენებინათ, ხოლო სემინარიის წინ

ხალხს არ უშვებდნენ. გზა შეკრული ჰქონდათ ნახევარ კილომეტრზე.

პოპეჩიტელი მთელი ამაღით, რომელსაც ბოლოში პრისტავიც ასდევნებოდა, გირლიანდებით მორთულ სემინარიის ეზოში შევიდა.

ჩამოუარა მწკრივში გამოჭიმულ სემინარიილებს და სიტუვით მიმართა:

— გამარჯობათ!

ამ ცივმა ხმამ ზარივით დარეკა, თვითეულის გულში.

— თქვენს აღმატებულებას გაუმარჯოს! — დასახახეს სემინარიილებმა ერთი კვირის წინ გაზეპირებული სიტუვები.

პოპეჩიტელს ჯერ ჩამოვლა არ გაეთავებინა, რომ გიგლამ მეორეჯერ ისკუპა და ზედ ქვაფენილზე დაასკდა, ერთი დაიკვნესა, მაგრამ მალე წამოხტა და სკოლის კარებთან გაჩნდა. ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ იქვე მდგომარეობა სტრაუნიკმა ხელის მოკიდებაც ვერ მოასწორო. გიგლა გაუძალიანდა ჩიოფურა დარაჯს, უნდოდა როგორმე ეზოში შესულიყო, თავის ამხანაგებში ჩამდგარიყო. დარაჯმა რომ ვერ

მოიცილა გიგლა, ისე მაგრად დაარტყა თავში მორ-
გვივით რგვალი ხელი, რომ გიგლამ მხოლოდ ერთი
დაყერება მოასწრო და გაბრუებული უკონიდ გა-
დაგორდა წყალში. ანამქერებულმა მდინარემ გიგლას
პირში შეაშეფა შლამიანი წყალი და იოლად გა-
ათრია დაუძლურებული ბიჭი ქვევით.

— ე, ბიჭებო, ვუშველოთ ბავშვს!

— ურჯულო! ურჯულო! რას ერჩოდი მაგ ობოლ
ბიჭს? — ისმოდა ყოველი მხრიდან ალელვებული წა-
მოძახილო.

მოსეიორნე ხალხი შეშფოთდა.

მუსიკა კი სკოლის ეზოში უკრავდა. მოისმოდა
მხიარული ხმები. ბარიტონის სასიამოვნო ღუღუნს
აღმოსავლეთის ძლიერი ქარი საზანდარივით აფენდა
სოფლის ამწვანებულ კარმიდამოებს, და სწყდებოდა
იქ, სადაც აზუვლებული ცხენისწყალი სიპ ქვებზე
ჩანჩქერივით იფშვნებოდა.

4

უვავებული ტყემლების
ჩრდილში გაიანე კარგა ხანს
შეაჩერა მეზობელმა. როცა
გაიანე დაბრუნდა შინ, ეზოს
ყოველი კუნჭული შემოირბი-

ნა, მაგრამ გიგლა ვერსად ნახა. შემთხვა ქალი, თავი
არ მოიკლას იმ უბედურმას, და ერთი მაგრად შეკიც-
ლა. ტანხესახელდახელოდ გადაიცა შევალშელებილი
ნარმის კაბა და თმაგაწეშილი, კივილ — კივილით
გაიქცა ქალაქისაკენ. გზაზე ვინც კი შეხვდა, ყველას
მიატირა, ყველას მიაკიკლა, ჩემი გიგლაიასათვის ხომ
არ შეგიხედავთო, მაგრამ მისი გიგლაია ამ დილით
არავის უნახავს.

სკოლის წინ ხალხის ჭრიალი და ჩოქოლი კი-
დევ არ შენელებულიყო. მუსიკა ახლა უკანა ეზოში
გადაეყვანათ. იქედან კარგად მოისმოდა მისი მჭე-
ქირე ხმა.

გაიანე გიფივით თმაგაწეშილი შეიჭრა სკოლის
ეზოში. ჩოჭურა მექარემ გაიანეს მოულირა მჯილი,
მაგრამ იგი მაქოსავით გაუსხლტა ხელიდან. დერე-
ფანში სწორედ გიგლას მასწავლებელს შეეფეთა.

— მითხარით, ბატონო, რა დააშავა იმ ჩემია სა-
ცოდავემა ბიჭმა! — გაიანემ ჭედმეტი აღელვებისაგან
ტირილი ვერ შეიკავა, თავი ძირს ჩაღუნა და გა-
ხუნებული თავსაფრით თვალები ამოიმშრალა. სა-
ნამ მასწავლებელი ეტყოდა რამეს, მას ისევ შესწი-
ვლა:

— სად არის ჩემი ბავშვი?

— დაწყნარდი, ქალო, თქვენი ბიჭი ჩენ შინ გა-
მოგიგზანეთ გუშინ, არ მოსულა თუ? — დაირბილა
ხმა მასწავლებელმა, გაიანეს გაცეცხლებულ სახეს
რომ შეხედა.

— თქვენ კი გამოგზანეთ, მაგრამ ერთი ეს იყი-
ოხეთ, როგორ გამოგზანეთ? საგარებელი გული
სკოლაში დაატოვებინეთ, უკუნებო ბიჭი მომიგდეთ!
რა ვქნა ეხლა მე, გაგიძა ბიჭი და საღლაც ცხრა-
მთას იქით გადამეკარგა! ვფიცავ ჩემს რვა შვილს,

თუ გიგლას რამე მოეწია, ერთ კაკალ კაცი
დავტოვებ ცოცხალს, სულ გადაგრვავთ და გადა-
ბუგავთ დიდიან პატარაიანად! — გაიანეს წევეტებული
მისმა გულსაკლავმა ქვითინმა ისედაც ტარლის ტარლი
ათის მასწავლებელი სულ დააბინა.



— ვამე, ვამე, საღა ხარ, ჩემი დაჩაგრულ
ბიჭმ! — მხოლოდ ამ სიტყვებმა გამოაფხიზლა მას-
წავლებელი.

— გული დაიმშეიდე, ქალო, შენი გიგლა საღმე
ბავშვებში იქნება და საღამოს ისევ შინ მოვა.

გაიანემ ძალა მოიკრიბა, მერე ისე მოულოდნე-
ლად წამოვარდა ხეზე, რომ მასწავლებელს ფერი
ეცვალა.

— ეს მაინც მითხარით, რატომ დაითხოვეთ
ჩემი ბავშვი სკოლიდან?

— მე ოქვენი ბავშვი ძალიან მიყვარს. პირდაპირ
გეტყვით, არაფერს დაგიმალავთ, ალბათ, თქვენც
გაიგებდი, რომ დღეს ნამესტრინიდან გამოგზანი-
ლი პოპეჩიტელი გვეწია მთელი უმალით. დირექ-
ტორმა ცუდად ჩაცმული ბიჭი რომ დაინახა, ასე
ბრძანა: ორი დღით შინ გაუშვით, უცხო ხალხმა
არ დაინახოს, თორებ სირცევილს ვჭამთო. ეს იყო
და ეს, მეტი არაფერი! წავლენ ისინი, და გიგ-
ლაც მოვა სკოლაში.

გაიანემ ლუყაზე იტკიცა ხელი, ფართოდ გაახი-
ლა ცრემლით საგა თვალები და ისე მოკრუნჩხა
თითები, თითქოს ბნედა მოსვლოდეს.

— აი თვალები კი დაუდგეს სიღატაკესა და
გაჭირვებას, ორებ ჩემი ბიჭი თქვენი პოპეჩიტელის
დასაწუნია? რა ვუყოთ, რომ გლახადა გამოწყობი-
ლი! ერთი ის მითხარით, იმ თქვენს დირექტორსა
და პოპეჩიტელს ჩემი გიგლას თავი აინტერესებს,
თუ ფეხები! ჭინჭის რა ჭიუა აქცს, თავში თუ არაუ-
რი უყრის კაცს! დამისახელე ერთი მაინც, ვინ გაიას
ჩემ შვილზე უკეთესი? იმასაც მალე დავინახავ, თუ
როგორ გასახელებენ პოპეჩიტელთან თქვენი მდიდ-
რის შეიღები! ან ისე რავა ჩაგალ მიწაში, რომ ერ-
თი ჩენენთვისაც არ გათენდეს.

გაიანებ მასწავლებლის პასუხს არ დაელოდა, დე-
რევნის კარები მაგრაც მიიხურა და ქუჩაში მიმავალ
ხალხს შეერთა.

გაიანებ ნახევარი გზა რომ განვლო, ზურგიდან
ცხვნების თქარუნი მოქმდა.

გაიანებ გვერდზე გადადგა და ეტლს გზა უტია.
ეტლიდან ყრუ ხმა აღმოხდა.

— დედა, დედა!

გიგლას მისუსტებული ხმა გაიანებ უცებ იცნო.
გაიანებ შედგა და დაინახა, რომ გიგლა სამ ბიჭს
მუხლებზე ჰყავდა გადაწვენილი. მაშინ გაიანებ არც
კი დახედა ეტლის ფეხის შესადგმელს, ისე შეფრინ-
და შიგ.

— შვილო, გიგლა, რატომ მომკალი, ბიჭო, რა-
ტომ! ჩემო შვილო, მითხარი, სად იყავი, ან ვინ გაგ-
წუწა ასე?

გიგლა ისე დაოსებულიყო, რომ ენას ვერ იღებ-
და. შინ ბიჭებმა უამბეს გაიანეს, თუ როგორ გა-
დაარჩინეს იგი დახრჩობას:

— სწორედ იმ დროს ჩავავლე ზელი ქენჩოში
შენ ბიჭს, როცა იგი წყალს ხიდის ქვეშ უნდა შე-
ეთრია. ზურგჩამტვრეული ხიდი გამოტენილია ქვე-
ბითა და ჯირკვებით. შიგ რომ შეეტანა მდინარეს,
მერე მისი გადარჩენა ტუუილი იყო, მარა შენი გიგ-

ლაია იღმლიანი ბიჭი ყოფილა. თუ არ გაგვიწერე
ბი, იმასაც გეტყევი, რომ შენს ბიჭს გეერდებიც ჭრო-
გად დავუზილეთ და წყალიც ბევრი დავაფრქვულებული
ქე ჩიგიბარე შენი შვილი! — მხიარულად ჭრის გარეშე მოვა-
კებმა.

გაიანებ მაღლობა უთხრა მათ და გიგლა შინ მი-
იყვანა. ეტლიდან გაღმოსვლისას გულმა ვერ მოუთ-
მინა და იკივლა. სიკვდილის მაუწყებელ შეცხადე-
ბაზე მეზობლები სახლებიდან გამოცვიდნენ. გაიანებ
კიშვართან მოიყარეს თავი. ეგონათ უბედურ გაია-
ნეს მმში წასული უფროსი შვილი თუ მოუქლესო.

გაიანებ მაგრად ჩაიკრა შეკრისი გიგლა და უკე-
ლას გასაგონად უთხრა:

— გული არ დაგწყდეს, ჩემო გიგლა, ხვალ ბაზარზე
რაიმეს გავიტან და ისეთ კარვ შარვალ — ხალათს
გიყიდი, რომ შენს გარდა მაგის მსგავსი არავის ეც-
ვას სკოლაში!

იმედით სავსე სიტყვებმა გიგლასთან ერთად გა-
იანეც გაახარა.

აყვავებულ ალუბლის ჩრდილში გიგლას საყვა-
რელი ბორჩოლა მწვანეფრთიან პეპლებს ეთამაშებო-
და. გიგლამ დაინახა ის და ძალიან გაეხარდა, თი-
თქოს ტკივილებიც გაუყენდა. ტუჩებზე ლიმილი
აუთამაშდა.



ლილა პიონერი ბათა ქიბი

ლილით ვდგებით მხიარულნი,
შარი-შური-შარი ...
საყვირივით გვიძერს გული
ჩქარი, ჩქარი, ჩქარი.
ტანთ ვიცვეთ და ყელსახვევის
შევერავთ კავშირს მაგრად,
„ერთი... ორი...“ ვიყვეთ სწორი,
რიგში ჩავდეთ მარდად!
იმართება ტანკარჯიში,

შემოვიკრებთ ძალას,
შეის მივუშევროთ ჯანსაღ მქერდებს —
ხალასს, ხალასს, ხალასს ...
ნიშანსვეტოან ვიკრიბებით
მხრების სწორი რხევით,
— სალიუტი!
— მზად ვართ ...
— მზად ვართ ...
უველამ ხელი-ზევით!



გარეული ჭანის ბათი

ლეიტონი



რდილო აფრიკაში მოგზაურობის დროს, მაროკოში, მე გავეცანი ერთ იქაურ მონადირეს, მოხუც არაბს მოგმედს. ერთხელ შევეკითხე, ლომები ხშირად ხომ არ ესხმიან შინაურ საქონლის ჯოგებს — მეთქი.

— არა, აჲ, — მიპასუხა მოხუცა: — ზოგჯერ დაკარგება ცხარი, ზოგჯერ ხბო, რომელიც დიდ მანძილზე ჩამოშორდება ჯოგს, მაგრამ იშვიათად. ზაფხულში ხომ ჯოგს ტყეში ვდენით, მაგრამ დაკარგვით მაინც ცოტა გვეკარგება. ხარებს შესანიშნავი თანდაყოლილი შეგნება აქვთ, რომ ღამდაშობით ლომისაგან თავი დაიცვან; ისინი დადგებიან წრედ, შეაში მოიცევენ ხბოებსა და ძროებს, ირგვლივ კი დარაჯობენ ხარები. როგორც კი იგრძნობს ხარი ლომის მოახლოებას, მაშინეული დაიწყებს ბლავილს, ფრუტუნს და ჩლიქების მიწაზე რტყმევას. დანარჩენებმა უკვე იციან, თუ რას ნიშნავს ეს ამბავი, და ყველა ერთად, ერთ წყებად, გაექანება იქით, საიდანც მოელიან ლომს. ლომი არ დაუცდის იეროშს და რაც შეუძლია სწრაფად გარბის ტყეში შორს. არაერთხელ უნახავთ, რომ ლომი მეტშილად ჭამს შეელს, თხას, ნიამორს, ფურ-ირემს. თუ გარეულ ტახს დაეცა, მათ შორის იწყება სახარი ბრძოლა, და ტყის სულთანი ყოველთვის როდი რჩება გამარჯვებული.

შეც შექნდა ერთი პატარა შემთხვევა. მაშინ მე სულ ახალგაზრდა ვიყავი, მაგრამ ყოველივე ისე მახსოვეს, თითქოს ეხლა ხდებოდეს; გიამბობთ ამ შემთხვევას. სიყმაწვილეში, როცა ამ უთორი წვერის მაგიერ კუპრივით შავი, დახუჭუჭებული მშვენიერი ომი მეონდა, მე იშვიათად ფატარებდი ღამეს მამის სახლის ჭერევეშ. შელამებისას მივდიოდი თოვით ხელში და ტყეში უსაფრდებოდი ნადირს. ერთხელ, ქაშკაშა მოვარიან სალამოს, წყაროსა და ტბის პირად ქლდეზე ჩამოვავქი; ეხლა ყველა მონადირემ იცის ის ადგილი — იქიდან ადგილია გარეულ ტახებს უთვალთვალს, როცა ისინი მიღიან წყლის დასალევად და ტბაში საგორაოდ. ირგვლივ ლერწმია, შემდეგ მიჰყება ტყე, და მხოლოდ ერთადერთი კლდე, რო-

გორც მუდმივი უზარმაზარი დარაჯი, აღმართულა, თითქოს განზრახ, მონადირის თავშესაფარიდ.

მთვარეს ნახევარი ცა უკვე გადაევლო, ცდამ დამლალა და ჩავთვლიმე; უცრად ხმელი ფოთლების ზარიშურმა გამომაღვიძა; ტყეში გატყდა ხმელი ტოტი; ეტყობოდა, დიდი ნადირი მოღიოდა. წამოვიწიე, თოვს პირისწმალი გავუსინჯე, სანამ ნადირი გამოჩნდებოდა. ნადირი შეხერდა: უეჭველია, ისიც თვალყურს იჯევნებდა გარემოს; დაიღრუტუნა, და მე მივხვდი, რომ გარეული ტბაში იყო. უზარმაზარი ნადირი ამაყად შევიდა ტბაში, როგორც იქურობის ბატონ-ბატონი. მთვარის შექშე გავარჩიე მისი გრძელი, ხნოვანებისაგან გაჭალარავებული ჯაგარი, მისი ვეებერთელა პრიალა ეშვები; თოვის ჩამახი ავაყენე და ველოდებოდი, თუ როდის მოვიღოდა წყაროსთან.



ტახმა ტალახის ჩიჩქნა დაიწყო. არ იყო მთლად დამშვიდებული, თითქოს გრძნობდა, რომ საღლაც ახლო მტერი ჰყავდა... ხშირად მაღლა იღებდა თავს და ყნოსავდა ჰაერს.

მიკვირდა: ქარი მისგან მოქწოდა პირდაპირ ჩემენ, მსე, რომ იგი ჩემს იქ ყოფნას კი ვერ იგრძნობდა, არამედ სხვისი სუნი იქრა. და აი ტბის კიდურზე გაისმი ჩამიჩუმი. ტახი უფროდაუფრო ღელავდა. მან გარევევით ჩაიბუტბუტა:

— ნუთუ აქ ვინმეა ჩასაფრებული?

ეს სიტყვები მან ერთი-ორჯერ გაიმეორა და ისევ ტალახს დაუწყო ჩიჩქნა.

— მეც ჩავუგვირდი იმ ადგილს, საიდანაც ისმოდა ხმაური, და მე მეჩვენებოდა, რომ ვეხდავ ფაფარიან ვეებერთელა თავს და ორ თათს; ორი ნაკვერცხალი ანათებდა ბუჩქებიდან; ვხედავ — ლომი

ნელა, უხმაუროდ გაპარება ტახს; იგი კი ზურგზე ჯა-
გარაყრილი განაგრძობს ტალახის ჩიჩქნას და რა-
ლასც ბუტბუტებს თავისთვის დინგში, რაც კარგად
ვერ გავარჩიე.

— უფრო გარევევით რომ დაელრუტუნებია, გა-
არჩევდი? შევეკითხე მე.

— რა ოქმა უნდა! — მიპასუხა სრულიად დარ-
წმუნებულის კილოთი მოხუცმა: — ვისაც ტყეში დიდ-
ხანს უცხოვრია, ის მაშინვე გაიგებს; თორემ რად
ექნებოდათ ცხოველებს ხმა? ჩვენში ყოველ მონა-
დირეს ესმის, რას ამბობს აფთარი, ლომი, ტახი...

მე ვიფიქრე, რომ სიტყვის შებრუნება სრულიად
უსარგებლო იქნებოდა, ისეთის რწმენით და დამზ-
ჯერებობით ლაპარაკობდა იგი. შემტევაც რამ-
დენჯერმე მქონდა შემთხვევა დაერწმუნებულიყავ,
რომ არაბები ცხოველთა ყველა ხმას თარგმნიან და,
მათი ოცნების განსაკუთრებული სიძლიერის მეოხ-
ებით, ცხოველებს აწერენ თავიანთ აზრსა და სურ-
ვილს; და მე ხელი აღარ შევუშალე ძველ მონადი-
რეს დამშვიდებით განეგრძო ამბავი.

— ლერწმებში ნახევრად დამალული ლომი უკვე
ოცნდე ნაბიჯზე მიუახლოვდა ტახს. თუმცა არა-
ვითარი ხიფათი არ მომელოდა, მე მარც ვეპნეალ-
ებდი, თოჯორ ციება შემყროდეს, და ვუცდიდი რა
მოხდებოდა, სულის მოთქმასაც ვერ ვგებდავდი.

ტახმა ტალახიდან აიღო თავი, დინგი ასწია და
შემობრუნდა... ამავე ჭამს ლომი გადაატა... და
უკანა ფეხებზე დამდგარმა ტახმა მას ეშვები შეა-



ხვედრა. მე მესმოდა მათი ერთმანეთის რტყმევის
ხმა, როცა ორივე გორაკდა მიწაზე; კლდეზე გადა-
ხრილი მე თვალს არ ვაშორებდი, რომ დამენახა,
თუ რით გათავდებოდა ეს ამბავი. უცრად დავინა-
ხე, რომ ტახი ისევ თოხივე ფეხზე იდგა და ისევ
მივარდა ლომს, რომელმაც საზარლად დაიღმულა
და მას შორიდან პასუხი გასცეს ტურა-ფოცხვერებმა.

¹⁾ ეს არაბების ჩვეულებრივი გინებაა: ასე აგინძებენ თავიანთ
კენებს, აქლემებს და იგივე გამოთქმები გადააქვთ ცხოველე-
ბის ენაში.

ავტ. შენიშვნა.

ტახი უფროდაუფრო გააფორდა, ისევ მიგარდა ლომს
და მანამ არ მისუა საშველი, სანამ ვატრაბეჭულ
თავისქნევით მთელი დინგი თვალებამდეს ჩატუჭა
მუცელში ლომს, რომელიც კვდებოდა მარჯორის მცირებულები
ჩხით. ტახს სისხლი ჩამოსდიოდა ფართო ჭრილო-
ბიდან, მაგრამ ჯაგარი არ ეშვებოდა ქვევით, როცა
მტრის ტანს ფატრავდა თავისი ეშვებით. შემდეგ მი-
ვიდა წყაროსთან წყლის დასალევად. ოთფი მოვი-
მარჯვე, მაგრამ სანამ ვესროდი, ვიფიქრე და თავს
ვუთხარი:

„მართლაც და რისთვის უნდა მოვკლა? ვაჟკა-
ცურად იომა, ლომის ტყავი დამიტოვა; მეტი რალა
მინდა?“ ამიტომ თოფი ჩამოვკიდე და დილის მოლო-
დინი დავიწყე.

ტახი წყაროს მოშორდა და ტბის ტალახს მიუ-
ბრუნდა. მაგრამ უცრად ტყიდან მოისმა ისევ შა-
რიშური და, წარმოიდგინეთ, ძუ ლომის ტიტველი
თავი შიშით შესკერის მკვდარი ლომის მძრეს.

— რა აშბავია? ისევ ჩასაფრებულან? — ჩაიბუტუტა
ტახმა.

— კარგი, გიაურო, ძალლო! — თქვა მწუხარებით
გულჩამკვდარმა ძუ ლომმა. — ძვირად დაგისვამ ამ
ვერაგობას! ლომის მოკვლას

თქვა და თამამად მიაშურა მტერს. ტახიც ელ-
ოდა და გაბრაზებული აკრაჭუნებდა კბილებს. ლო-
მი შეჩერდა. შებრუნდა და ტყისაკენ გაუხვია. მე
გავიგონე მისი სიტყვები. „რაოდენა ყოფილა ეს
ტახი, რა საშინელება რამ არის!“

— დაიწვას ბებიაშენის აჩრდილი! — მიაყვირა მას
ტახმა.

ბებიამისის შეურაცხყოფით გაბოროტებული ძუ-
ლომი შეჩერდა, დაიწყო კუდის მიწაზე რტყმევა და
მთელი ყაყრანტოს ძალით დაილმულა.

ტახმა ჯაგარი აიყარა, ფეხები დააბაკუნა და მია-
შურა ლომს, მაგრამ ლომი განხე გაუხტა და სასი-
კვდილო დარტყმა აიცდინა. ამ დროს ღრუბელი ჩა-
მოწვა. მე ვეღარაფერს ვხედავდი, მაგრამ მესმოდა
ბრკალების ყოველი დარტყმა, კბილების ყოველი
კრაჭუნი. შემდეგ ყოველივე მიწუმდა. როცა ღრუ-
ბელმა გადაიარა და მთვარე ორივე თვალით მიწას და-
აშტერდა, მე დაეინახე, რომ ძუ-ლომს წინა თათები
გამოტილი ჰქონდა, ტახის გვერდით იწვა და მშვი-
ლად კამდა მას. მე ავიღე თოფი და თავში დავუ-
მიზნე... ეს იყო მისი უკანასკნელი წუთი.

მაგრამ მე მხოლოდ დილით ჩავედი კლდიდან. მკვდარი ძუ-ლომის ბრკალები კიდევ ირიბად იყო
ჩამჯდარი ტახის ტანში; ტახის მრავალი დიდი ჭრი-
ლობა ამჟღავნებდა, თუ რა ვაჟკაცურად იცავდა
იგი თავს.

ტყავები მშვენიერი იყო, და ეს ლამე, როცა ჩემ
მაგიერ მუშაობდნენ სხვები, ჩემთვის ძლიერ მომგე-
ბიანი გამოლება.

თარგმანი რამდენიმე

6. ლორთობისანი

რომენი



გილებული იყო ავტოიანი შემოდგომისა,
შეავილი შალი შორის, ყაუ აღგილს მისაიჯაზე,
ისლეალ ნაზოც უბილურის სიყვარულისა
მორთოლვას ხელით მარადს იქრავდა, ძლივს იმაგრმდა.



სიჩემე იყო, დახის მაზებაზე ტყანი და მთანი
სუყვილებ დუდა და გვილავერს მისინებოდა,
ჩალი საბაკალო, მაზებარი და თვალცხელიანი,
ძრალებით და რიზით ირგვლივ ფრთხილად იხდებოდა.



ოდნავ შემორდა, ნელვლიანად ამოიკვეთა
და დაცემიანა უანერი და ჩვილს არსებასა...
„ზოგ გაინაგს, ზვილო, ვერ ხედავ ჩიმსა ცხმალებას,
ვინა განძორა ამ ჩიმს ტანებასა და მაზებარისასა.



თვალს გამორახელ და უძლური, სევდით მოცული
ამ ჩიმს მკირდს ვეღარ ჩამოგეხი, ჩამონები,
და არასიმით კოცხას, ალერს, აჭირებული,
უნის უკადურ დაისასა ვინ ეღისასგი.



ზოგ ჩიმთვის ტირილს და ჩიმს ძეგნეს აეარე იჯგება
დავხავავ ვარ და ცირცებილი არ ამცილება,
სამარადისოდ, საუკუნოდ ვარ დამივიზება,
დედას კი ზვილი არასოდეს დაავიზდება.



გინას მოგვერი, თავისავარს უა უცხოები,
გითყვიან: „ჩიმთვის უცხო ხარო და უორული“,
გივჩერ იკითხავ: „სად არია ჩიმი მოგზლები?“
და მამგვილს ოჯახს ვინ იკოვნი ცხვალონეული;



სხვა ბაზავთა შორის აეგოლოზი დამისაგრები,
მარად იცნები მარა უირით დალონებული,
და სხვა დედაგის ზვილთა მიმართ ალერს დაცედები
სიკვილის დღევა დაღვენებილი, დაძმარებული.



ყვილგან იცნები უა ლარიგი და უგადური,
დასწევებლი, დაგმონა უან დასახამს უსამართლოსა,
და როს მოგვისოს უშართ სასტიკი სხვის საყვედური,—
უამინდე ცოდვილს მარგილს, საჭყალს და საბაკალოს.



იძნებ როგორია უაგვედეს, იცნო გამა მოგელი,
გადამხები თაბოლი და გულით დამჯარი...
ნითა სად არის მუხანათი, ჩიმი მგროგები
და ჩიმთვის მარად, საუკუნოდ დაუვიზებარი?





მაგა თავისული აცლებები, ზედამდეს შენორანა,
უთხარ, რომ დედამ უნ უმორიდ, იგლად დაგთოვა,
მისა ლაშამ გაწორიჩება ვერ აიტანა
და ამ ჩვეყანას უდაგურსა გამოეთხოვა.



მაგრამ ეს რა ვთხიო? ან იდება სხვა ვინები ნახი,
ვთხათ, დანარავე დედამიტი ზემოგვაროს,—
გადამხიას ვენი მოღაუგლული, მფუნარი სახი
ხომ იცნობს დედა, ვეიდმა აგლოს რომ გაუაროს?



ოვ, გედა მკაცრება და სასტიკა რომ უვებედროს
და ამისესულოს ჩემი ნატეხა, ჩემი ვეძრია...
იძნება ახლოს გამიაროს, არ უვებედოს
და საუცნოდ ვეთხოვდი, აღარ უვებედება!



შენ გძინას, ჟვილო უგედურო, სად რას მოვლი...
გულში ჩაგიპრა ლეგა მოხეც უკანასკელად.
კანონი ჩინზი უსამართლო და საჭირელი
ზილად გვაჩიშვილს მხოლოდ ტანჯვას ჩვენდა სასკოლად.



არ განუვაწიას ვიდრო ასაკს აზ უდარევილი
და უზრუნველი სიხარული და მოსვენება,
გეპინოს, ჟვილო საყაჩილო, მარი ნაღველი
ზენის ჩაგვიგის ნათელს დღებს ვერ უმიმდა».




უცემ გალიდა ამოგაზევილა მითარი ნათელი
და ჩალის ახლოს იმის უშვე ქოხი გამოჩედა,
გამავილება კალება აღელებით გაგვის სტაცი ხელი
და იმ უცხო ქოხს მიყარუბულს მიუახლოვდა.



როდესაც უცხო ქოხის კართან იგი მივიდა,
ბავშვი იქ, ზღუგბლთან მიაჭინა, ააკანებალა,
შიგით და ქართლით ჟვილს თვალები მოლად მოარიდა,
ლაშის ჯებიდადში გაეხია და მიმჩმალა.

მთარემნელი არტემ ახერხოვი



ჩატარებულის

3

როთ კვირის წინ მშვენიერი
ამინდი იყო და ჩემი ლუიზა
ჰავერზე არ გამეუვანა მთელი
დღის განმავლობაში. პალტო
ჩავაცვი, ბავშვს ქუდი დავახუ-

რე და წავედით ერთად ქალაქში, რათა მას ერთხელ
მაინც ენხა განათებული ქუჩები.

სათამაშოების მაღაზიასთან დადგა იგი და აღარ
იძერდა. მაჩვენებდა ერთს დრდა და ქერაქულუ-
ლებიან ტიკინას, აბრეშუმის ტანსაცმელით შემო-
სილს.

დიალაც ძერტვისი ნივთი იყო ეს ტიკინა.

— შვილიყო! — ვუთხარი მე. — ეს ჩვენთვის ძალია
ძეირია, მხოლოდ მეფისწულს თუ შეეძლება იყიდოს

— დედიკო! მაჩუქე ლამაზი ტიკინაო.


მე აღარ შემეძლო მისი მუდარის მოსმენა და
წავედი მაღაზიაში ტიკინის სახახვად.

„რა ღირს ეს ტიკინა?“ ვეკითხები გამყიდველ
ქალს.

— ხუთი ტალერი — მიპასუხა მან და გადმოილო
ეგი ვიტრინიდან, რადგან მას ეგონა ვინახე დიდება-
ცის მსახური ვიყავ. მე მქონდა მხოლოდ ერთა ტა-
ლერი და ვთხოვე მას, ჩემი გოგონა ავადა და თუ
ამ ტიკინას არ მივუტან, უარესად გახდება მეთქი.

მაღაზიის პატრონი მოვიდა და ვთხოვე: ერთ ტა-
ლერს წინდაწინ დაგიტოვებთ და დანარჩენ ოთხს
კი თანდათანობით გაიისტუმრებ მეთქი.

მან არ ინდობა ჩემი მოსმენა, გაცოდა და მი-
ბრძანა დამეტოვებინა, რადგან თქვენ ხელს უშლითო
სხვა ნაღდი მყიდველების მოსელის. მე ისე გავპრაზ-
დი, რომ შემეძლო მისთვის შემომეკრა. როცა მაღა-
ზია გაიგოს მყიდველებით, თვალის დახამხამების სი-
სწრაფით მივეპარე ტიკინას, დავაგდე იქ ერთი ტა-



იგი. მაგრამ ბავშვი მე აღარ მომყვებოდა და განუ-
წყვიტლივ იმეორებდა:

— დედიკო! მაჩუქე ლამაზი ტიკინაო.

შევიყვნე მაღაზიაში და კუყიდე ძალიან პატა-
რა, ქერათმიანი ტიკინა, მაგრამ დახეთ ჯიუტ ბალის,
არც კი შეხედა ამ ტიკინას და დიდს ტიკინზე
დაებრიცა თვალები. ძლიერ მოგაშორე ვიტრინას,
ხელში ავიტარე და შინ წამოვიყვანე.

მთელი ლამე აბოცებდა ლუიზას, ცისფერთვალ-
ებიან მეფისწულს ახსენებდა. ავად გახდა, ლოყე-
ბი გაუწითლდა და თვალებს აცეცებდა. განურებული
ხელები ჩამბლუჯა და განუწყვეტლივ შეუბნებოდა:

ლერი, ამოვიდე იგი პალტოს ქვეშ და მოვკურ-
ცხლე ჩემს პატარა გოგონასთან.

ჯერ შესახვევამდე არ ვიყავ მისული, როცა სა-
შინელი ყვირილი და რბენა მომესმა. მოვიხედე,
პოლიკიელი მომდევნენ მართლაც... დამიჭირეს
და წამათრიეს, როგორც ქურდი, პოლიციაში, იქ კი
უკანასკნელ ბოროტმომეტებთან ერთად მომათავ-
სეს. ხუთი დღე ვიჯექი და არ შემეძლო ერთხელ
მაინც ჩემი ავადმყოფი ლუიზასთვის ნაძვის ხე გამზ-
ჩალებინა.

თარგმანი მისანალი გამსახულდია.

მოძრავი ჩიონქის სამრეკა

აღვერა განვალი

ლაჟვარდების სიკეპლუცე
ამ მიდამის როგორ ჰმენის,
როგორ გვატებობს, მთავ მაღალა,
შრიალი და სუნთქვა მენი!



წყარღს ჩუმი ლიკლიკი და
ნაძვარების შარიშური,
ხილს ქროლვა მთის ძირიდან,
ტყის სიმღერად დანიშნული.



მოღაუღაუე ყვავილები,
ძრისფერი, ლალისფერი,
ღიმილია გაშლილ მთების,—
ხალისი და სიტკბობს მგვრელი!



რა კარგია ჩემი ქვეყნის
მიწა, ტყე და ლურჯი ზეცა,
მთავ, მიმღერე, და მეც გეტყვი,
ტბილ სიმღერას გეტყვი მეცა.



გადავირენ მთების კალთებს,
გადაშლილებს ქათიბებად,
მთა სიმღერას შემოსმახებს,
მეც სიმღერა მომინდება.]



გულით მინდა მხოლოდ ერთი:
გავხდე ჭე გაწაფული,
რომ დავიცეა ჩემი მკერდით
ჩემი ქვეყნის გაზაფხული.



მაშ, სიმღერა იხევ ლაღი,
ხმას მოგვიცემენ ლურჯი მთები,
ეს ქვეყანა არის ბაღი,
ჩვენ—უჭინობი ყვავილები.



ცოშნე მართი



თასი წლის წინათ შუა აზის თვალუშვდენელ ვლებზე ცხოვრობდა ნახევრად ველური ხალხი — მონლოლები, ანუ თათრები მათუმთავრეს მეურნეობას შეადგენდა მეჯოგეობა, განსთავურებით მეცხენეობა. თათრები იკვებებოდნენ ცხენის რძითა და ხორცით, იყვნენ საუკეთესო ცხენოსნები, მეტად ამტანნი და მამაცნი.

მეცამეტე საუკუნის დამდეგს მათ აღმოუჩნდათ დიდი სარდალი ჩინგიზ ყავნი. მან გააერთიანა თათრების დაქსაქსული ურდონი ერთ მძლავრ სამეფოდ, შეკრიბა უპირველეს მამაცთავან დიდი ცხენოსნი ლაშქარი და დაეცა მეზობელ სახელმწიფოებს: თურქეთს, ჩინეთს, ჩინდოეთსა და ირანს; მოკლე დროში დაიპყრო ეს დიდი, მდიდარი ქვეყნები, დაარბია, გაძარცვა და დაადო მძიმე ხარკი (სამხედრო ბეგარა).

ამით არ დაქმაყოფილდა სისხლის მღვრელი ჩინგიზ ყავნი. თავისი დიდი ლაშქარი მან გაპყო ორ ნაწილად. ერთი ნაწილი გამოგზავნა დასავლეთ აზის დასაცარობად, ხოლო მეორე ნაწილს თვითონ წაუქდვა, შეესია რუსეთს, მთლიანად დაიპყრო მისი სამთავრონი და კისრად დაადო ხანგრძლივი მონიბის მძიმე უღელი. მონლოლთა ლაშქრის პირველი ნაწილი ირანის მხრიდან შეესია მესოპოტამიას, სი-რიას, მცირე აზიასა და კავკასიას. მოკლე დროში გაძარცვა და დაიპყრო ეს მდიდარი ქვეყნებიც.

მონლოლი შემოესიერ საქართველოს, ანუ, უკეთ, ივერიას, ორჯერ: პირველად გიორგი ლაშას მეფობის დროს (1221 წლს), შეორედ კი აი წლის შემდეგ, რუსუდან დედოფლის მეფობის უამს. პირველ შემოსევისას მათ გრიგალივით გადმოიარეს ივერიაზე და დარუბანდის გზით გავიდნენ ჩრდილო კვევასიასა და სამხრეთ რუსეთში. მეორედ კი თათრები გამოედევნენ ხორასნის შაპს ჯელალედინს ჯელალედინი 200 ათასი მეომრით მოადგა ივერიის საზღვრებს, მან საერთო საშიშარი მტრის, ე.ი. მონლოლთა ჭინააღმდეგ, სოხოვა კავშირი და ჯარით დახმარება რუსუდან დედოფლის. რუსუდან დედოფლი არ შეიწყნარა ხორასნის შაპს გონივრული წინადადება, უპატრონოდ დატოვა-ქართლ-კახetiთი, თვითონ კი დიდი ამაღლით გადვიდა კორტხებზე და თვი შეაფარა კოლხეთს.


საშინლად გაბრაზებული ჯელალედინი თავისი ძლიერი ლაშქრით შემოვიდა ივერიაში და ააოხრა იგი, მოადგა თბილისს, აილო და გაელიტა 100 ათასამდის მშვიდობიანი მცხოვრები.

ასე სასტიკად იძია შური უგნიურ რუსუდანზე მხეცმა ჯელალედინმა.

ამისამაში შემოვიდნენ თათრებიც, მათ საშინლად დაამარცხეს ჯელალედინი, გაფანტეს მისი ლაშქარი და უმორად დაიბყრეს უპატრონოდ შთენილი ივერია, დაარბიეს, ააოხრეს და დაადვეს მძიმე ხარკი.

გავიდა რამდენიმე წელი, ფრიად შეაწუხა ქართველი მონლოლთა ბატონობის მძიმე უღელმა. აღმოჩნდნენ სამშობლოს გმირები, რიცხვით შეიდნი. ისინი საიდუმლოდ შეიკრიბენ კოხტა გორის ციხეში, კოლხეთის საზღვართან, და მოახდინეს შეთქმულება. ითაბირეს და გადაწყვიტეს, შეეკრიბათ რაზმები თავთავის კუთხეში, დანიშნულ დროს უკრივ დაცემიდნენ თათრების მთავარ ბანაქს და გაეულიტათ მტერი.

შეთქმულთა შორის იყო განთქმული ვაჟკაცი, ოდიშის ერისთავი ცოტნე დადიანი. იგი მაღე დაემშვიდობა თავის ამხანაგებს და გადვიდა კოლხეთს, რომ დროით შესდგომოდა ჯარის შეკრებას. დანიშნულ დროს ცოტნე დადიანი თავისი რაზმით გაჩნდა კოხტა გორასთან. აქ მან შეიტყო ფრიად სამწუხაო ამბავი: ჯაშუშის მეოხებით თათრებს იმ დღესვე გაეგოთ შეთქმულების შესახებ, მაშინვე დასკემოდნენ ციხეს, შეეპურათ ექვსი შეთქმული და გაეგზავნათ ყარაცურულს მათ უფროს ქარმალან ნოინთან. მრისხანე ქარმალანს ჯალათისთვის გადაეცა ისინი საწამებლად.



გაიგო რა ეს საზარო ამბავი ცოტნებმ, მაშინვე კაბრუნა კოლხეთს თვისი რაზმი, თვითონ კი ორი თანმხლებით გაეშურა ყარაყურუქს. მივიდა თუ არა, შორითვე დაინახა თვისი ამხანაგები, ხელფეხ გაკრულნი და შიშველა დაყრილი მხეჭე. ჯარას მათ-თვის ტანე წაეცხო თაფლი, რის გამო უამრავი ბუზი და კრაზანა დახვეოდათ. საშინელ წამებას განიცდიდნენ ხალხისთვის თავდადებული ქართველნი. მათ დაემალათ ნოინისთვის შეთქმულების მიზანი.

იხილა რა ეს სურათი ცოტნე დადიანმა, მაშინვე გადმოხტა ცხენიდან, გაშიშვლდა, თყვით გააკრევინა ხელ-ფეხი თავის მხლებლებს და ამხანაგებთან ჩაჯდა სატანჯავად.

ეს უცნაური ამბავი მოხსენდა ქარმალანს. მან მოაყვანინა გმირი ცოტნე დადიანი, ჰეითხა ვინაობა და ასეთი საქციელის მიზეზი.

დღიონ ნოინო, მე ვარ საქართველოს ერთი კუთხის ერისთავი ცოტნე დადიანი. საქართველოს ერისთავები, სულ შეიძნი, შეეგიტობენით კოხტა გორის ციხეში სათათბიროდ, რათა უკეთ მოგვეწყო თქვენთვის ხარჯის ძლევა. მე იღრე წავედი ჩემს ქვეყანაში. ამ ხუთი დღის წინ შემთხვევით ვცანი, რომ თქვენ შეგიძყრით ჩემი ამხანაგები და მიგიციათ სატანჯაველად. აპა, ჩამოველ აქ, რათა მეც გავიზიარო თქვენი რისხვა და ვეწამო ჩემს მებთან



ერთად. უბრძანე ჯალას წამისვან თათლი შიშველ ტანე, რომ მეც ვიგებო ისეთივე წამებანი ბუზ-კრაზანების მიერ, დე, მეც მოვკვდე ჩემს ძმებთან ერთგვარი სატანჯაველით! — ამაყად უბასუხა დადიანმა.

ფრიად გააძლია თათრების ნოინი ცოტნეს საქციელმა. მეტად მოეწონა მისი გაბელული პასუხი. მან ბრძანა შვილივე ქართველი ერისთავის განთავისუფლება და პატივით გაისტუმრა ისინი ივერიაში.

ამრიგად, ცოტნე დადიანის საარაეო რაინდობამ, მისმა გმირულმა თავგაწირვამ იხსნა ივერიის ერისთავნი საშინელი წამებით სიკვდილისაგაბ.

გაიოზ ჩანგვები



— ძალიან ხშირია ისეთი შემთხვევა, როდესაც ერთ რაიმე ხელსაწყოს ან იარაღს ორი, ან რამდენიმე გამომგონებელი იგონებს ერთმანეთის დამოუკიდებ-



ალექსანდრე პალი

ლად, ან და ერთსადამავე კანონს ორი სხვადასხვა მეცნიერი აღმოაჩენს და დამტკიცებს.

ყოველი სახელმწიფო თავის ქვეყნის ინტერესს იცავს და ამათუმ გამოგონების ან აღმოჩენის ავტორად თავისი ქვეყნის გამომგონებლებს თვლის.

სწორედ ასეთი ისტორია ეწია ტელეფონის გამოგონებას.

საფრანგეთი ტელეფონის გამომგონებლად ასახელებს ფრანგ ბურსელს, გერმანია — რეისს, ხოლო იტალია — მანცეტის. იტალიელებმა ძეგლის ბეგბაც კი არ დაიშურეს ტელეფონის ამ „გამომგონებლისათვის“. ამერიკა კი ტელეფონის გამომგონებლად ალექსანდრე ბელს თვლის.

რეისმა, რომელსაც გერმანელები თვლიან ტელეფონის გამომგონებლად, მიზნად დაისახა აეგო ისეთი ხელსაწყო, რომელიც გადასცემდა ხმას, და არა სიტყვებს.

1825 წელს რეისმა დაიწყო მუშაობა თავისი აპარატის შექმნაზე და შეოლოდ 1861 წელს მიაღწია


შიზანს. ფრინკფურტის ფიზიკისთა საზოგადოების ქრებაზე მოხადინა მან თავისი „ტელეფონის“ დემონსტრირება, და 100 მეტრის მანძილზე გადაცემულ იქნა ერთერთი მელოდია. გადაცემას თან სდევდა შული, შეიშინი და სტენა. ამიტომ რეისის გამოგონებამ ვერ პოვა გამოყენება და იგი ჩემია მიკრწყებულ იქნა.

მხარებაში დარჩა მხოლოდ რეისის მიერ შემოლებული ბერძნული სიტუა „ტელეფონი“, რაც ნიშნეს აპარატს, ოომელიც გადასცემს ხმას სიმორეზე.

აღსანიშნავია ავრეოვე ფრანგი გამომგონებლის ბურსელის ცდის მეტად სწორი აღწერა.

ყველაზე სწორი და ნამდვილი სახე ტელეფონისა მოგვაც ამერიკელმა გამომგონებელმა აღმოჩნდა ბერმა.

აღმესანდრე ბელი დაიბადა ინგლისში 1847 წელს. 1870 წელს მათი ოჯახი გადასახლდა ამერიკაში. სადაც ა. ბელმა დაიწყო მუშაობა თავისი აპარატის მოსაწყობად. ბელმა დაამზადა ხმის გადამცემი აპარატი და 1876 წ. 14 თებერვალს გამომგონებელთა ბიუროში შეიტანა განცხადება თავისი ვამოგონების შესახებ. არ გასულა ორი საათი, და გამომგონებელთა ბიუროში შემოიდა სხვა გამომგონებლის—გრიის ასეთივე განცხადება. ორივე გამომგონებელი მოითხოვდა პატენტს „სიტუაცის გადამცემი აპარატის გამოგონებაზე“.



გალის აპარატი


გამომგონებელთა ბიურო შეჩერდა იმ საჟიოზე, თუ ვის უნდა მისცემოდა პატენტი. საბოლოოდ გადაწყდა, ვინაიდან ბელის განცხადება 2 საათით ადრე შემოვიდა. პატენტი მისცემოდა აღმესანდრე ბელს.

მაგრამ ბელს, თავისი სიღარიბის გამო, საშუალება არ ჰქონდა გამოეყენებინა და გაეუმჯობესებინა თავისი გამოგონება. მან წინადალება მისცა „დასავლეთის ტელეგრაფის საზოგადოებას“ შეესყიდა მისი გამოგონება, მაგრამ საზოგადოებამ არ ისურვა ბელის ამ შესანიშნავი გამოგონების შესყიდვა.

განსაკუთრებით მოხევეა სახელი ბელი 1876 წელს ფილადელფიაში მოწყობილი საერთაშორისო გამოფენის დროს. ამ გამოფენაზე წარმოდგენილ იქნა ბელის ახალი გამოგონება. როდესაც ბრაზილიის შეფე ღონ—პედრო ათევალიერებდა გამოფენას, მისი ურადღება მიიბრო ბელის ამ საოცარმა „სათამაშომ“, მან მოისურვა ბელთან დალაპარაკება, რომელიც დარბაზის მეორე ბოლოში იმყოფებოდა.

აიღო ხელში ტელეფონის მიღი, გაკორცებული უყებ გააგდო ხელიდან და წამოიძახა:

— ის ლაპარაკებს, ის ლაპარაკებს! უროვნეული ამ შემთხვევამ უშეელა ბელს. მან უცილესობის გობრების დახმარებით დაებრსებინა თავისი ტე-



0740 მიმოცოდა

ლეფონის საზოგადოება „ბელის ტელეფონის ასოციაცია“. 1878 წელს ნიუხავენში (ამერიკა) ბელმა გახსნა მსოფლიოში პირველი „ტელეფონის სადგური“ 8 აბონენტისათვის.

შემდგომ ბელი აუმჯობესებდა თავის აპარატს, მაგრამ ვერ შესძლო ის, რომ მისი აპარატით შესაძლებელი ყოფილიყო შორეულ მანძილზე ლაპარაკი.

ეს ამოცანა შემდგომ გადაჭრეს ექრომიელმა გამომგონებლებმა სიმუნსმა და ადერმა.

ტელეფონის გაუმჯობესების საქმეში ღიღი ღვაწლი მიუძღვის ცნობილ ამერიკელ გამომგონებელს ტომას ედისონს. მან აპარატში შეიტანა ინდუქტიური კოქა, რითაც მიიღო მიღალი ძაბის ცვლალი დენი, რომელიც აღვილად სძლევს მავთულის წინაღმდევობას.

როდესაც ედისონმა გაუმჯობესა ტელეფონის აპარატის მოწყობილობა, სატელეფენო საქმე სწრაფად განვითარდა, სულ მაღა ბევრ ქალაქში მოეწყო ცენტრალური ტელეფონის სადგურები.

უნდა აღინიშნოს, რომ ედისონი მუშაობდა „ამერიკის ტელეფონის საზოგადოებაში“, რომელშიც შედიოდა ბელის მოქაბე გრეი. ბელი, რა თქმა უნდა, დამარტინებოდა, რომ მას არ დახმარებოდა ამერიკელ იუზის მიერ გამოგონილი მიკროფონი.

შეიძინა რა იუზის გამოგონება, „ბელის ტელეფონის საზოგადოება“ გადარჩა დამარცხებას.

ტელეფონის შემდგომ გაუმჯობესებას უნდა მიეწეროს ტელეფონისა და მიერთოფონის შეერთება ერთ მოძრავ მილში. ეს გამოგონება ფრანგ შერკოდეს ეკუთვნის.

ჩვენს ეპოქაში ერთერთ შესანიშნავ გამოგონებად ითვლება ავტომატური ტელეფონი..



କର୍ତ୍ତାବନ୍ଦିତତଃତଃ

୬୧୮୦ ୬୧୯୩ ୩୧୬୦

କ୍ଷେତ୍ର ମେଳନଦ୍ୱୟାଲ୍ ଫଳ୍ସ ଦ୍ୱାରା ମାଲୋନ
ପ୍ରୟୋଗରେ ହାତେ ଥିଲା. ମାତ୍ର ବେଳେମି ବାଜି ବାମ୍ବା-
ଦାରୀ ଅଛି.



ଗ୍ରନ୍ଥକ୍ଷେତ୍ର ମାତ୍ର ଯେତ୍ରମରା ଫଳ୍ପର୍ଯ୍ୟାନ୍ - ନାହିଁ.
ନାହିଁ ଯୁଦ୍ଧକ୍ଷେତ୍ରରେ ଦିନାଂ ମଧ୍ୟବର୍ତ୍ତରେ ଯୁଗ ଦା
ମାନ ବେଗରେ ଶ୍ରେଣୀକ୍ଷେତ୍ରରେ ମିଳିବାରେ ତାଙ୍କୁ ଉପରେ:
ଏବଂ ଉପରେ:


— ମିଳିବାରେ, ଦେଇଲା, ତୁ ଅଜ୍ଞେନ ବେ-
ମିଳେ ବାମ୍ବାରେ ପ୍ରତିବାଦିମିଳେ ଦ୍ଵାରା ବାମ୍ବା-
ଦାରୀ, ମାତ୍ରିନ ରାମ୍ଭାର୍ଯ୍ୟ ଯି ବାମ୍ବାବାରୀତାଙ୍କାନ୍ତି
ପ୍ରତିବାଦ ଏହାରେ ଗାପାରୁଦେଖା?

ଫ୍ରେଡା ଫାରମି ଉପର୍ଯ୍ୟାନ୍, ଉପର୍ଯ୍ୟାନ୍ ଦା
କ୍ଷେତ୍ର ଶ୍ରେଣୀକ୍ଷେତ୍ର ମାନବରେ ଗାପାରୁମା.

ଅଜ୍ଞେନ ଶ୍ରେଣୀକ୍ଷେତ୍ର, ତୁ ଏହା, କୁମାରକାନ୍ତର
ବିଜାନ ଶ୍ରେଣୀକ୍ଷେତ୍ର?

୮୩୨୩ ୬୭୪୬୫

ଯେବେ ଯୋଗେନ୍-ଦ୍ଵୀ ପ୍ରମଦିଲ୍ଲି ମ୍ବେରୁଗୋ,
ମାତ୍ର ଶ୍ରେଣୀକ୍ଷେତ୍ର ମାତ୍ର ବାମ୍ବାରୀତାଙ୍କାନ୍ତି
ମାତ୍ରିନ ବାମ୍ବାରୀତାଙ୍କାନ୍ତି ବାମ୍ବାରୀତାଙ୍କାନ୍ତି
ପ୍ରତିବାଦ ଏହାରେ ଏହାରେ.



ମାତ୍ରାମ ଦ୍ଵାରେ ଯେବେ ଯୋଗେନ୍-ଦ୍ଵୀ ଫାରମି-
କ୍ଷେତ୍ରରେ. ମିଳିବା କାଳିମା ଯୁଗରେ ବ୍ୟାପରୀ, ବ୍ୟେତି
ମ୍ବେଲ୍ଲେ, ରାମ ମ୍ବେଲ୍ଲେ ଏହା ଯେବେଦେଖା.

ରାମାନ୍ ଫାରମିକ୍ଷେତ୍ରରେ ବ୍ୟାପରୀ? ଉପର୍ଯ୍ୟାନ୍
ଯେବେ ଯୋଗେନ୍-ଦ୍ଵୀ, ଉପର୍ଯ୍ୟାନ୍ ଯେବେ ଦ୍ଵାରୀ,
ମାତ୍ରିନ ଦା ଶ୍ରେଣୀ ଦ୍ଵାରେ, ରାମାନ୍ତର୍ଯ୍ୟ ଯୁଗ
ମ୍ବେଲ୍ଲେନାନ୍ତି. ମାନ ବ୍ୟାପରୀ ଗୋପରୀ ଏହା ତା-
ମାନବରୀ ବାମ୍ବାରୀତାଙ୍କାନ୍ତି ମାନବରୀ ପ୍ରତିବାଦ ଏହା
ବ୍ୟାପରୀର୍ଯ୍ୟ ଫାରମିକ୍ଷେତ୍ରରେ. (ଫାରମିକ୍ଷେତ୍ର ମ୍ବେଲ୍ଲେ
ବାମ୍ବାରୀତାଙ୍କାନ୍ତି).

ରାମାନ୍ ଗୋପରୀ ମାନ ଯେ ବ୍ୟାପରୀ?